№ 252 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. შაბათი, ნოემბრის 6 1920 წ.

საქართველოს რესპუბლიკა

ორგანო (?) მთავრობის, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %. რედაქციის და კანტ მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8.07)

შაბათს, ნოემბრის 6-ს

ო თ ე ლ ო

შექსპირისა.

ახალი დეკორაციები და კოსტიუმები მხატვარის ალ. ზალცმანისა.

რეჟისორი ახკი ფალავა. დასაწყისი საღ. 7 საათზე.

მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აკრძალულია

ბილეთები იყიდება დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდის.

971 3—3

სახელმწ. თეატრი

შაბათს, 6 ნოემბერს ოპერა მუშებისათვის

ევგენი ონეგინი

7 ნოემბერს

მინიონი

972 1—1 დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის გამგეობა ამით აუწყებს თავის მოკავშირეებს,

რომ მიმდინარე წლის 24 ნოემბერს დილით ოთხშაბათს დილის 10 საათზე ქალ. ტფილისში

დანიშნულია საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის რწმუნებულთა 1-ლი წლიური ყრილობა

შემდეგი საკითხების განსახილველად:

1) საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა და საქართველოს კოოპერაცია.

2) რწმუნებულთა კრებისათვის სახელმძღვანელო ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.

3) კავშირის 1919 წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.

4) მოკავშირეთა ბიუროს მოხსენება.

5) სარევიზიო კომისიის მოხსენება.

6) კავშირის 1920 წლის მოქმედების მიმოხილვა და 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.

7) კავშირის მომავალი მოქმედების გეგმა.

8) მოკავშირეთა ბიუროს ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.

9) სარევიზიო კომისიის ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.

10) კავშირის წესდების გადაშინჯვა.

11) საქართველოს კოოპერატიული ბანკის გამგეობის მოხსენება.

12) კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

13) მიმდინარე საკითხები.

თანახმათ კავშირის წესდების მე-3, 9, 10 და 11 §§-ისა საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის წევრებათ ითვლებიან:

გომის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, საჯევახოს, ნატანების, სამტრედიის, ზუგდიდ-სამურზაყანოს, ზესტაფონის, ჭიათურა საჩხერის, გორის, სენაკის, აბაშის, დუშეთის, სიღნაღის, ლორის, ვორონცოვის, ქუთაისის, ტფილისის, სოხუმის და კახეთის რაიონების კოოპერატივთა კავშირები, სომხეთის კოოპერატივთა კავშირი „აიკოპი“, მწარმოებელ კოოპერატივთა საგამსაღებლო კავშირი, ფოთის მომხმარებელთა საზოგადოება „ეკონომია“, ბათომის მომხმარებელთა საზოგადოება, ზუგდიდის მაზრის მეთამბაქოეთა კოოპერატიული ამხანაგობა.

თანახმად კავშირის წესდების მე-29 და 30 §§-ისა ზემოჩამოთვლილი კოოპერატიული ორგანიზაციები გზავნიან რწმუნებულთა ყრილობაზე დასასწრებლათ:

გომის კავშირი—8 რწ., ჩოხატაურის—5 რწ., ოზურგეთის—3 რწ., ლანჩხუთის—3 რწ., საჯევახოს—2 რწ., ნატანების—2 რწ., სამტრედიის—5 რწ., ზუგდიდ-სამურზაყანოს—8 რწ., ზესტაფონის—8 რწ., ჭიათურა-საჩხერის—5 რწ., გორის—5 რწ., სენაკის—5 რწ., აბაშის—3 რწ., დუშეთის—3 რწ., სიღნაღის—10 რწ., ლორის—5 რწ., ვორონცოვის—1 რწ., ქუთაისის—10 რწ., ტფილისის—10 რწ., სოხუმის—3 რწ., კახეთის—8 რწ., მწარმოებელ კოოპერატივთა საგამსაღებლოს კავშირი—1 რწ., ფოთის მომხ. საზოგადოება „ეკონომია“—1 რწ., ბათომის მომხმარებელთა საზოგადოება—2 რწ., ზუგდიდის მაზრის მეთამბაქოეთა ამხანაგობა—1 რწმუნებულს.

თანახმად კავშირის წესდების მე-29 §-ისა რწმუნებულთა კრება შესდგება კავშირის წევრთაგან თავიანთ კრებაზე—რწმუნებულთა კრებაზე—ერთი წლის ვადით სპეციალურათ ამორჩეულ პირებისაგან.

საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის გამგეობა სთხოვს თავის წევრებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეუსრულებიათ კავშირის წესდების §§ 9, 10, 11, 29 და 30 აღნიშნული მოთხოვნილებანი, მოახდინონ სპეციალური რწმუნებულთა კრებები წარმომადგენლების ასარჩევათ და არჩეულთა სია სათანადო ბლანკზე ბეჭდის დასმით დამტკიცებული დაუყონებლივ გადმოგზავნონ ცენტრალურ კავშირში.

დაწვრილებით ცნობებს ყრილობის ადგილის, რწმუნებულთათვის ბინის და სხვა ამგვარის შესახებ ჩამოსული რწმუნებულნი მიიღებენ საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის მთავარ კანტორაში (მუშტაიდი, კოოპერაციის ქუჩა, საკუთარი სახლი № 15).

981 3—3 **საქართველოს ცენტრ. კოოპერატიული კავშირის გამგეობა.**

ფოთის ქალაქის გამგეობა ყიდის

ორტესებრ რკინის კოჭებს „14“ სიმაღლით 11 არშ. 10 ვერშ. და 10 არშინიანებს, წონით 2000 ფუთამდე და სახელსაწყო ფოლადს $^1/_4$—$1^1/_4$ დიუმ. წონით 100 ფ.

3510 3—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგისა.

4 ნოემბერი, 1920 წ., 455.

სახელმწიფო კონტროლის კანცელარიის მოხელე ელენე ანტონ თოთიბაძის ასული, თანახმად თხოვნისა დათხოვნილია სამსახურიდან ამა წლის 4 ნოემბრიდან.

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი **ქ. ანდრონიკაშვილი.**

—

საქციზო სამმართველოს უფროსისა.

27 აგვისტო, 1920 წ., № 247.

დანიშნულ იქმნას: ტფილისის ხაზინის მეორე ხარისხის მოლარე ვლადიმერ ვასილის ძე კიკნაძე იმავე ხაზინაში მეორე ხარისხის ბუხალტრის თანამდებობაზე ამა წლის აგვისტოს 16-დან.

№ 248.

დანიშნულ იქმნას: ტფილისის ხაზინის მოანგარიშე მოხელე გრიგოლ ივანეს ძე მაისურაძე ამავე ხაზინაში მეორე ხარისხის მოლარეთ ამა წლის აგვისტოს 16-დან.

№ 249.

დაინიშნოს: ტფილისის ხაზინის რეგისტრატორი იოსებ ესტატეს ძე კისკეიძე იმავე ხაზინაში მოანგარიშეს მოხელეს თანამდებობაზე ამა წლის აგვისტოს 16-დან.

№ 250.

დანიშნულ იქმნას: ტფილისის ხაზინის რეგისტრატორი ნაპოლეონ ივანეს ძე როსინსკი იმავე ხაზინაში მოანგარიშეს თანამდებობაზედ ამა წლის აგვისტოს 16-დან.

№ 251.

მიეცეს: თავისუფლება ერთი თვის ვადით, ჯამაგირის შენახვით სიღნაღის ხაზინის ხაზინადარს იოსებ ივანეს ძე ღარიბაშვილს ამა წლის ენკენისთვის პირველიდან.

№ 252.

დანიშნულ იქმნას: გორის ხაზინაში 1-ლი ხარისხის მოლარეთ ალექსი ივანეს ძე კონონენკო ამა წლის აგვისტოს 25-დან.

№ 253.

დანიშნულ იქნას: ტფილისის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდებობაზედ ლუკა ნიკოლოზის ძე შოშინი ამა წლის აგვისტოს 1-დან.

2 ენკენისთვე, 1920 წ., № 254.

დანიშნულ იქმნას: ტფილისის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდებობაზედ მოქალაქე პავლე არტემის ძე ახვერდოვი ამა წლის ენკენისთვის 1-დან.

№ 255.

თავისუფლება მიეცეს: სამი კვირის ვადით ჯამაგირის შენახვით საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის რეგისტრატორს ნიკოლოზ გიორგის ძე კაპანაძეს ამა წლ. ენკენისთვის 2-დან.

№ 256.

თავისუფლება მიეცეს: ერთი კვირის ვადით ჯამაგირის შენახვით, საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის რეგისტრატორს დიმიტრი გრიგოლის ძე ყარაშვილს ამა წლ. 30 აგვისტოდან.

8 აგვისტო, 1920 წ., № 257.

მიღებულ იქმნას: ტფილისის ხაზინაში როგორც დროებით დაქირავებული, რეგისტრატორის თანამდებობაზედ ნიკოლოზ ვლადიმერის ძე კორინთელი ამა წლის ივლისის 15-დან.

საქციზო სამმართველოს უფროსის მაგიერ **დ. ქუთათელაძე.**

—

მიწათ-მოქმედების მინისტრისა

30 ენკენისთვე, 1920 წ., № 341.

ინიშნება: შორაპნის სამაზრო ერობის ყოფილი ინსტრუქტორი ივ. კვანტრიშვილი აგრარულ რეფორმათა განყოფილების ინსტრუქტორ-კონტროლიორათ ამა წლის 23 ენკენისთვიდან.

№ 342.

ინიშნება: ინჟენერი ალექსანდრე სპირიდონის ძე იშხანოვი ფოთის ჰაობის დასაშრობ პარტიაში ამა წლის 20 სექტემბრიდან.

№ 343.

ინიშნება: ტექნიკი ანტონ ანტონის ძე კრატცელი ფოთის ჰაობების პარტიაში ამა წლის 20 სექტემბრიდან.

№ 344.

ყარაიის რაიონში გამგის თანაშემწე ალექსანდრე ხირსელი წარდგენილია ცხინვალის რაიონში გადასახლების საქმის გამგის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ამა წლის 25 სექტემბრიდან.

№ 345.

დანიშნულია: გზათა დეპარტამენტის რწმუნებული აზერბეიჯანში ვიქტორ დევანის ძე ჩაჩიბაია ახალი ათონის სახელმწიფო მამულის გამგეთ ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

№ 346.

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან აბასთუმნის ტყის გამგის მე-II ხარ. თანაშემწე ანატოლი გრიგოლის ძე სლუცკი თანახმად მისი თხოვნისა.

1 ოქტომბერი, 1920 წ., № 347.

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან საგურამოს ტყის გამგის თანაშემწე ალექსანდრე იოსების ძე ლენტიევი თანახმად მისი თხოვნისა.

4 ოქტომბერი, 1920 წ., № 348.

დათხოვნილია: სასოფლო მეურნეობის განყოფილების მდივანი დიმიტრი დეკანოზიშვილი, მისი თხოვნის თანახმად, ამა წლის ოქტომბრის 1-დან.

ინიშნება: იმავე განყოფილებაში მდივნათ ანდრია სამსონის ძე ჩიქოვანი ამა წლის ოქტომბრის 1-დან.

№ 349.

დანიშნულია: ბორჯომის შუშის ქარხნის დროებით გამგის თანამდებობაზე ს. გ. ბელსკი ქარხნის საქმეების მოგვარების დავალებით ამა წლის 28 ენკენისთვიდან.

№ 350.

დანიშნულია: ტფილისის სახელმწიფო ღვინის სარდაფის მოლარეთ ალექსი კონსტანტინეს ძე ჯაბუა ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

№ 351.

ინიშნება: ისიდორე ზურაბის ძე ბახტაძე ტყის გამგის მეორე ხარისხის თანაშემწეთ.

№ 352.

ინიშნება: საინსპექტორო განყოფილების რეგისტრატორი ქეთევან ტრიფონის ასული გურგენიძე იმავე განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწეთ, 1 სექტემბრიდან.

5 ოქტომბერი, 1920 წ. № 353.

დათხოვნილია: ტფილისის სახელმწიფო ბოსტნის მოანგარიშე ალექსანდრე ჭბრეგვაძე მის თხოვნის თანახმად ამა წლის 30 ენკენისთვიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრი
ნ. ხომერიკი.

1900 წელში დაბადებული ახალგაზრდა მოქალაქეთა სამხედრო გეგრის მოსახდელად გაწვევა.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1900 წელში დაბადებულ ახალგაზრდა პირთა ჯარში გამწვევი და მიმღები კომისია მიმდინარე წელს შეუდგება თავის მოქმედებას ქ. ტფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოსთან განსაკუთრებულ შენობაში (ვაგზლის ქ. სახლი თამამშევისა) ქვემო აღნიშნულ დღეებში, დილის 9 საათიდან.

15 და 16 ნოემბერს, ორშაბათს და სამშაბათს, იმ პირთა ჯარში გასაწვევად, ვინც არიან შეტანილნი 1, 2 და 3 კომისარიატების გამწვევ სიებში.

17 და 18 ნოემბერს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს, იმ პირთა-ვინც არიან შეტანილნი მე 4, 5, 6 და 7 კომისარიატების გამწვევ სიებში.

19 და 20 ნოემბერს, პარასკევს და შაბათს, იმ პირთა-ვინც არიან შეტანილნი მე 8, 9 და 10 კომისარიატების სიებში.

21 და 22 ნოემბერს, კვირას და ორშაბათს, იმ პირთა-ვინც არიან შეტანილნი მე 11, 12 და 13 კომისარიატების სიებში.

23 და 24 ნოემბერს, სამშაბათს და ოთხშაბათს, იმ პირთა ჯარში გასაწვევად, რომლებიც არიან დაბადებულნი 1899 წ. და წარსულ 1919 წ. ქ. ტფილისის მიმღებ კომისიის მიერ გადაედოთ ჯარში მიღების ვადა ერთის წლით, როგორც საშუალო სასწავლებლების მოწაფეთ ან ჯანმრთელობის სისუსტისა გამო.

25 და 26 ნოემბერს, ხუთშაბათს და პარასკევს, იმ ადგილობრივ მცხოვრებ ახალგაზრდა პირთა,—რომლებიც არიან დაბადებულნი 1900 წ. და რაიმე მიზეზისა გამო არ არიან ჯერ შეტანილნი გამწვევ სიებში და აგრეთვე ქ. ტფილისში იმ დროებით მცხოვრებ პირთა, რომლებიც თუმცა არიან შეტანილნი სხვა მაზრების გამწვევ სიებში, მაგრამ მათ, თანახმად გენერალურ შტაბის განკარგულებისა (იხილე გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ა. წ. 21 ოქტომბრის № 238) არა უგვიანეს ა. წ. 1-ლ ნოემბრამდე ტფილისის სამხედრო ნაწილის განყოფილებაში წერილობით განაცხადეს თავისი სურვილი ტფილისის მიმღებ კომისიაში გამოცხადებისა და ამ ვადაზე წარადგინეს: 1) ამონაწერი თავის თავზე გამწვევ სიისა და 2) პირადობის მოწმობა სურათით.

მიმდინარე წელს ჯარში გაწვევის დროს მოქალაქეთ უნდა მიიღონ მხედველობაში:

1. ყოველი გაწვეული ახალგაზრდა მოვალეა თავის საცხოვრებელ ადგილის მიხედვით, გამოცხადდეს მიმღებ კომისიაში დანიშნულ ვადაზედ და თან იქონიოს გასაწვევი უწყება, მიღებულ სათანადო კომისარიატიდან.

2. საშუალო სკოლის მოწაფენი, რომლებიც წარმოადგენენ სათანადო მოწმობებს, სასწავლებლების უფროსებისაგან, სამხედრო ბეგრის მოხდის ვადა გადაიდებათ 21 წლის შესრულებამდე.

შენიშვნა: უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებს, არა აქვთ უფლება ჯარში გაწვევის ვადის გადიდებისა და ამიტომ ვალდებულნი არიან გამოცხადდენ მიმღებ კომისიაში.

3. **არავითარი ხამსახური,** არც კერძო, არც საზოგადო, არც მთავრობის დაწესებულებში (გარდა სამხედრო სამსახურისა) არც სახალხო გვარდიაში და არც მილიციაში **არ ანთავისუფლებს მოქალაქეთ ჯარში** გაწვევისაგან.

4. თან ხმად დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წ. 2 აგვისტოს მიღებულ დეკრეტისა,

შესახებ სამხედრო ბეგრის აუსრულებლობის და ამ დანაშაულის დაფარვის და წაქეზებისა, თუნდაც წამქეზებელი და დამხმარე მშობელი ან სხვა მახლობელი ნათესავი იქმნეს, დამნაშავე დაისჯება იმ წესით, რომელიც აღნიშნულია ხსენებულ დეკრეტის 1 და 3 მუხლ, და განსაზღვრულია ბოროტმოქმედებაში მონაწილეობისათვის სისხლის სამართლის და გამასწორებელ სასჯელთა დებულების მე-120, 121 და 124 მუხლებში.

ტფილისის ქალაქის გამგეობა.

2 ნოემბერი 1120 წ.
ქ. ტფილისი.

არა ოფიციალური განყოფილება.

საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად აღიარება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებისაგან.

საქართველოს დიპლომატიურ მისიის წარმომადგენელმა ბ-ნ ახმეტელაშვილმა ბერლინიდან ოფიციალურად აცნობა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, რომ გერმანიის რესპუბლიკის მთავრობამ 1920 წლ. სექტემბრის 24 ს საქართველოს რესპუბლიკა ოფიციალურად „დე-იურე“ (იურიდიულად) აღიარა და თავის ელჩათ დანიშნა საქართველოში ბ-ნი ულრის რაუხერი მეუმრავლესე სოც.-დემოკრატ. პარტიის ცნობილი წევრი.

ფინანსია საინსპექტოროში

როშას და კუშნარის მეჰარხნეთა განცხადება.

როშასა და კუშნარის მაუდის ქარხნის მეჰატრონეთა განცხადება შესახებ იმისა, თუ რა პირობებში შეუძლია ამ ქარხანას მუშაობა ფინანსთა სამინისტროს წარედგინა განსახილველად. ქარხნის მეპატრონეები ამ პირობის ძალით მოითხოვენ მათთვის წაომოების გარდაცემას და სამაგიეროთ თავს ვალდებულად იხდიან 6 თვის განმავლობაში მოიტანონ ინგლისიდან საქსოვი მანქანები, რის უზრუნველსაყოფადაც შესაფერი საწინდარიც შეაქვთ. ქარხნის მეპატრონეთ წილში შეყავთ მთავრობა. ქარხნის მეპატრონენი თანახმანი არიან ასეთ პირობებში გადასცენ მთავრობას ქარხნები და ან მისი ნებართვით ბაზარზე გამოიტანონ საქონელი. ეს პირობები მიწადმოქმედების და მომარაგების სამინისტროებმა განიხილეს და დაადგინეს, განიხილონ ის იმის შემდეგ, რაც რომ დარწმუნდებიან ქარხნების კარგად მოწყობილობაში და მისგან გამოშვებულ საქონლის სიკარგეში. ნოემბრის 1 მომარაგების მინისტრმა, ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორმა და სხვა პირებმა დაათვალიერეს საქსოვი ქარხანა. ქარხნების დათვალიერებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

მიწად-მოქმედების სამინისტროში

სვანეთის დელეგაციის შუამდგომლობა.

მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე სვანეთის დელეგაციამ შუამდგომლობა აღძრა, რათა სამინისტროს დახმარებით სვანეთში ხელი შეუწყონ გზების გაყვანას, ვინაიდან სვანეთი გზების უვარგისობის გამოცუდ მდგომარეობაშია მიწად-მოქმედების სამინისტრომ საჭიროდ სცნო სვანეთში გზების გაყვანა, მხოლოდ იმ პირობით, რომ შავი სამუშაო იკისროს თვით სვანეთის მცხოვრებლებმა. დანარჩენი სამუშაო როგორც არის ხიდეებისა და გვირაბების გაყვანა, და სხვა იკისროს მთავრობამ. გზების გაყვანის პროექტი და მისთვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა დაევალება გზათა სამინისტროს; მუშაობას გზათა დეპარტამენტი დაუყონებლივ უნდა შეუდგეს. სამინისტრომ დააკმაყოფილა დელეგაციის კიდევ ბევრი სხვა მოთხოვნილებანი.

მეჭენაჯეთა და მელვინეთა საბჭოს შემადგენლობა.

მიწად-მოქმედების სამინისტროსთან დაარსებულ მეჭენაჯეთა და მელვინეთა საბჭოში, საბჭოს თავმჯდომარედ იქნება მიწად-მოქმედების მინისტრის ამხანაგი. საბჭოს ბუდმივ წევრებათ იქნებიან: სასოფლო-მეურნეობის და სახელმწიფო მამულთა განყოფილების გამგენი, აგრონომიულ დახმარების სექციის გამგე საცდელ საქმის სექციის გამგე, სასოფლო-მეურნეობის ინსპექტორი—სპეციალისტი, მეჭენაჯე მელვინეთა სპეციალისტი, ორ-ორი წარმომადგენელი საქართველოს რეპუბლიკის მეჭენაჯე-მელვინეთა ყრილობის საბჭოდან, ორი წარმომადგენელი ერობათა კავშირიდან თითო წარმომადგენელი საზოგადოება „კავშირი“დან და კახელ მეჭენაჯეთა კავშირთა-კავშირიდან. საბჭოს აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს სასოფლო-მეურნეობის განყოფილება აგრონომიულ დახმარების სექციიდან დაარსებული ბიურო.

შრომის სამინისტროში

შრომის სამინისტრომ შეიმუშავა ტფილისის მუშათა და მოსამსახურეთა დაჯილდოვების პროექტი. განზრახულია ეს პროექტი გაატარონ სასწრაფო წესით. მას მხოლოდ განიხილავს პროფ. კავშირები და განსაკუთრებული თათბირი, რომელშიაც შევლენ უწყებათა წარმომადგენელები და სპეციალისტი ტეხნიკები.

— შრომის სამინისტრომ ქალაქთა კავშირს მიმართა შემდეგი განცხადებით: 1. თქვენ მიერ მუშათა მაგიდისათვის გადასაცემათ განზრახული 3000 საჟენი შეშა არ შეიძლება ვისმეს მიეცეს, ვინაიდან ეს შეშა დანიშნულია ტფილისის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის გასანაწილებლად. 2. ქალაქების მიერ შეშის მოთხოვნა და მათი დაკმაყოფილება მანამ არ უნდა მოხდეს, სანამ ჩვენ მიერ შემოკვეთილი 3000 საჟენი შეშა არ იქნება დამზადებული. 3. სამინისტროს აზრით ძველათ შემოკვეთილი უნდა შემცირდეს და მოთხოვნილებანი ნაწილობრივად უნდა იქნას დაკმაყოფილებულნი. გარდა ამისა სამინისტროს ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებას: კერძო პირები და დაწესებულებები ხშირად მომართავენ სამინისტროს განცხადებით, რომ ქალაქთა კავშირს შეშის მიცემაზე საწინააღმდეგო არაფერი აქვს, თუ შრომის სამინისტროსაგან სათანადო ნებართვა იქნებაო. გამოდის რომ ქალაქთა კავშირს საკმაო შეშა აქვს, რომლის გაყიდვის ნებასაც რაღაც მიზეზებით შრომის სამინისტრო არ იძლევა. ამის გამო შრომის სამინისტრო სთხოვს ქალაქთა კავშირის განუმარტოს ყველას, რომ მუშათა მაგიდიდან შემოკვეთილ შეშის გამო მას არა აქვს იმდენი შეშა, რომ დააკმაყოფილოს ახალი შემოკვეთა.

— შრომის სამინისტრო შეეკითხა სამხედრო სამინისტროს, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება დასახიჩრებულ მეომართა ნივთიერად უზრუნველყოფის საკითხი.

დამფუძნებელ კრებაში

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობისაგან დამფუძნებელმა კრებამ მისალმების დეპეშა მიიღო.

— დამფუძნებელ კრების თავმჯდომარემ, ლონდონიდან დამფუძნებელ კრების წევრის ნ. ნიკოლაძისაგან მიიღო წერილი, სადაც იგი აცხადებს, რომ თავს ანებებს დამფუძნებელ კრების წევრობას, ვინაიდან შავი ქვის საექსპორტო საზოგადოების დელეგაცია სთხოვს მას ხელმძღვანელობის გაწევას. ნიკოლაძე თავის წერილში აღნიშნავს, რომ დამფუძნებელ კრების წევრობა დიდ სიამაყეს წარმოადგენდა მისთვის და ბოლოს უსურვებს მას, დამფუძნებელ კრებას სამშობლოს საკეთილდღეოდ ნაყოფიერ მოღვაწეობას.

უცხოეთი

(საინფორმაციო განყ. ცნობები).

საფრანგეთის ფინანსიური რეფორმა.

„ტანი“ იუწყება საფრანგეთის ფინანსიურ რეფორმის შესახებ. ეს რეფორმა ჯერ მხოლოდ განზრახულია. ფიქრობენ გამოუშვან 6% სესხი 30 მილიარდი, რომლის მიღებაც სავალდებულო იქნებაო, როგორც ნამდვილი ფულისა. „ტანის“ აზრით ეს სესხი დამღუპველი იქნება საფრანგეთის ფრანკის კურსისათვის. გაზეთის აზრით ამ ჟამად საჭიროა, რომ რაც შეიძლება შემცირდეს სახელმწიფოში არსებული ფულის ნიშნები.

კრიზისის გავლენა.

დიდ ბრიტანეთში არსებული კრიზისი ვაჭრობაზე ცუდ გავლენას ახდენს ყველაფერზე. მდგომარეობის ახლო ხანში გაუმჯობესების იმედი არ არსებობს. განსაკუთრებით ძვირია ცხოვრება. თუ მხედველობაში მივიღებთ ინგლისისა და საქართველოს ფულების სათანადო კურს—უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოში ცხოვრება ორჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ინგლისში.

მიმართვა გერმანიის მუშებისადმი.

მოსკოვის პროფ. კავშირთა საბჭომ გერმანიის მუშებს მიმართა წერილით, მოსკოვის პროფ. კავშირთა და ბერლინის პროფ. კავშირის წარმომადგენელთა შორის არსებულ მოლაპარაკების შესახებ. მოსკოვის კავშირი სწერს: ბერლინის კავშირთა წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს მესამე ინტერნაციონალისა და საერთაშორისო პროფ. კავშ. საბჭოსთან კავშირის შეკვრაზე. გერმანიის წარმომადგენლებმა უარიც კი განაცხადეს გერმანიის მუშებში საერთაშორისო პროფ. კავშირთა საბჭოს გამოცემათა გავრცელებაზეო.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

გერმანული პრესა.

გარდინგის არჩევა პრეზიდენტად.

გერმანიის პრესა გარდინგის პრეზიდენტად არჩევას სიხარულით ეგებება და მას ეს ფაქტი ვილსონის პოლიტიკის დამარცხებათ მიაჩნია. გაზეთები იმედს გამოსთქვამენ, რომ გარდინგი შეეცდება ერთა ლიგის საქმეთა გაუმჯობესებას და გერმანიას შიგ თანასწორ უფლებას მიანიჭებს. საერთო აზრია, რომ გარდინგს არა აქვს განზრახული ჩაერიოს ევროპის საქმეებში, მაგრამ ბევრსა სწამს, რომ ამერიკა თავის საკუთარ ინტერესების გამო დახმარების ხელს გაუწვდის ევროპის აღდგენის საქმეს და მათ შორის გერმანიასაც.

აგიტაციის წარმოება.

ბერლინში კომუნისტთა პარტიულ დღეს გადასწყვიტეს განიხილონ ქალაქებში აგიტაციის წარმოების საკითხი.

ეკონომიური მდგომარეობა.

რეიხსტაგში ხარჯთ-აღრიცხვის მეორე განხილვის დროს მომარაგების მინისტრმა ეკონომიური პროგრამა წარმოადგინა.

ლანგეს წერილი.

დოქტორმა ლანგემ ევროპაში და კერძოდ გერმანიაში მეცნიერების მდგომარეობის შესახებ წერილი დაბეჭდა. ლანგე საჭიროდ ალიარებს, რომ დანიის მეცნიერები გერმანიას დაეხმარონ.

ფრანგული პრესა.

პარიზის ბირჟაზე.

პარიზის ბირჟაზე მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. განსაკუთრებით კარგ მდგომარეობაშია საფრანგეთის საკრედიტო საზოგადოებები და ზოგიერთ საქონლის როგორც მაგ. ტყვიისა და შაქრის ფასები.

ლიონის ცნობა.

დუნაის კონფერენცია.

დუნაის ინტერნაციონალურ კონფერენციის სხდომა შესდგა ნოემბრის 3. განიხილეს საკითხი კომისიის შემადგენლობის შესახებ და გადასწყდა, რომ ის პირები, რომლებიც მათ მიერ არიან დანიშნულნი და რომელთაც ისინი ჯამაგირს აძლევენ დაინიშნებიან ტეხნიკურ გამგეობათა და ნავსნობის კონტროლის ხელმძღვანელათ. შემდეგი სხდომა ნოემბრის 5 შესდგება.

„ფიგარო“ იუწყება, ინგლისის მემალაროთა რეფერენდუმის შედეგების შესახებ. 338,045 ხმა მიიღო შეთანხმების მომხრეებმა წინააღმდეგმა კი 346,000 ხმა წინადადების მისაღებად საჭირო იყო ხმების $^2/_3$. მემალაროეთა კონფერენციამ განაცხადა, რომ გაფიცვა დასრულებულია და მუშები დაუყონებლივ უნდა შეუდგენ მუშაობასო.

მფრინავი კაზალი.

საფრანგეთის მფრინავი კაზალი 2,700 მეტრის სიმაღლეზე აფრინდა და თან აიტანა 3600 ტონი ბარგი. ჰაეროპლანი 4 მატორიანი იყო.

საბერძნეთში.

ზოგიერთი ცნობის თანახმად ოპოზიცია მიზეზს ეძებს პრინც პავლეს განცხადებაში რათა ტახტის მემკვიდრეობის საკითხის პლებისციტით გადაჭრა მოითხოვოს. ვენიზელოსის მომხრე გაზეთები აღნიშნავენ, რომ საბერძნეთის კონსტიტუციის თანახმად მეფე შეიძლება აირჩიოს პარლამენტმა. პარლამენტის წევრთა სამი მეოთხედის თანხმობითო.

ახალი ამბები

— შარა გზების გასაყვანათ. ოზურგეთის სამაზრო ერობამ სთხოვა დახმარება შინაგან საქმეთა სამინისტროს, ახალი შარა გზების

გასაყვანათ, ძველთა შესაკეთებლად და ხიდების გასაკეთებლად. ერობა 13 მილ. მანეთის დახმარებას თხოულობს. ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრო სათანადო შუამდგომლობას აღძრავს მთავრობის წინაშე.

ფინანსთა სამინისტროში. სოფ. შუქრუთის მცხოვრებლებმა აღძრეს ვაჭრობა მრეწველობის და ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რათა მიეცეთ მათ უფლება ამ რაიონში არსებულ შავი ქვის საკონცესიო საფუძველზე დამუშავებისა. დაწვრილებითი გეგმა და შრომის პირობები ფინანსთა სამინისტროს სახელზე გადმოიგზავნება არა უგვიანეს ნოემბრის 5

ვაჭრობის განვითარება. ფინანსთა სამინისტრომ მიიღო შუამდგომლობა „ერმისის" ამხანაგობისაგან იმის შესახებ, რომ სამინისტრო დაეხმაროს მას ასანოის ქარხნის გახსნაში. ამხანაგობა შუამდგომლობს 1. ნება მიეცეს მას სახელმწიფო ბანკის საშუალებით უცხოეთის ვალიუტის შეძენისა. საზღვარგარეთ ნედლი მასალის შესაძენად და აქედან ადგილობრივი ნედლი მასალის გატანისა. ქარხნისთვის საჭიროთ საქონელზე უცხოეთში გადასაცვლელად. 2. უზრუნველყოფილი იყოს ამხანაგობა სათბობი და 3. ხე-ტყის მასალით.

ქალაქთა კავშირის შუამდგომლობა. ქალაქთა კავშირმა სთხოვა ფინანსთა სამინისტროს ნებართვა ქ. გორისათვის 12 მილ. სესხის ფურცლების გამოშვებისა. ქალაქ გორს ეს თანხა სჭირდება ამილახვრის მამულის შესასყიდათ. შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ ქალ. გორი ამ მამულის ყიდვით შეიძენს მშვენიერად მოწყობილ წისქვილს, ელექტრონის სადგურს და ხილის საკმოთ დიდ ბაღს. ელექტრონის სადგური მთელ ქალაქს გაანათებს.

საბიბლიოთეკო საქმე. პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკაში მოხდა ბიბლიოთეკის საქმეების მცოდნეთა თათბირი. გამოირკვა ამ საქმის ჭუნგეშო მდგომარეობა. თათბირზე აღინიშნა საკითხავათ გატანილ წიგნების დაკარგვის შემთხვევები. ამ საქმეების გამოსაწესრიგებლად გადასწყვიტეს ტფილისში საბიბლიოთეკო საზოგადოების დაარსება.

საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში. საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების წლიური საზოგადო კრება შესდგება კვირას, 28 ნოემბერს, დილის 11 საათზე, ეროვნულ (ყოფილ ფრეილინის) ქუჩ., № 11.

ხამტრედიის ხაიდლი სახალხო გვარდიიდან, როგორც არა საიმედონი და ინტრიგანები, გაძევებული იქნენ შემდეგი გვარდიელები: 1) მდივანი სევერიანე გიორგის ძე, 2) ბუთეიშვილი გრიგოლ თომას ძე და 3) ბოხუა იასონ.

სამხატვრო ქრონიკა.

ქართული დრამა. დღეს პირველად ამ სეზონში იდგმება უ. შექსპირის „ოტელო" ახალ დეკორაციებით და ახალ მიზანსცენებით. პიესას სდგამს რეჟისორი აკაკი ფალავა. ოტელოს როლს შეასრულებს მსახიობი ალ. იმედაშვილი.

ალ. შანშიაშვილის „ბერდო ზმანია". ქართული დრამა ახლო მომავლისთვის ამზადებს პოეტ ალ. შანშიაშვილის პიესას „ბერდო ზმანიას". პიესის რეპეტიციებს დასი უკვე შეუდგა. პიესისთვის იხატება ახალი დეკორაციები. დასდგამს ალ. ახმეტელი.

სახელმწიფო ოპერა. დღეს ოპერა-მუშებისთვის. წარმოადგენენ „ევგენი ონეგინს".

მ. მორდკინის საღამოები. მიხეილ მორდკინის საბალეტო საღამოები, რომელიც იმართება სახელმწიფოს პირველ თეატრში დიდძალი საზოგადოება ესწრება.

ა. ინაშვილის კონცერტი. ავადმყოფობის შემდეგ მომღერალი ა. ინაშვილი პირველად გამოვა ქართულ კლუბში. კონცერტში მონაწილეობენ: მომღერალი ქალი გ. გლაზი და მსახიობი ნ. ხოდოტოვი.

ტფ. ქალაქის თვითმმართველობაში

უკანასკნელი დადგენილებანი.

ქალაქის მოურავის მოხსენების და მთავრობის დადგენილების თანახმად კლუბებ-რესტორანების დაკეტვის შესახებ, ქალაქის გამგეობამ დაადგინა: ვინაიდან პრინციპიალურად არა არის რა საწინააღმდეგო კლუბების და რესტორანების დახურვის, როგორც სასურსათო კრიზისის საწინააღმდეგო ზომისა, ცნობილ იქნეს უფრო მიზანშეწონილად წესი კლუბებ-რესტორანების თანდათანობითი ლიკვიდაციისა. პირველ რიგში შესაძლებელია დაიხუროს კაფე-შანტანები შემდეგ კი სხვა ამგვარი დაწესებულებები.

— ქალაქის მილიციელებისათვის შეძენილ იქნება გულზე სატარებელი თარიღიანი ახალი ნიშნები ცხრაას სამოცდა ერთი ცალი თითო 50 მან. ამის საჭიროებისათვის გაღებულ იქნება 48050 მან.

მუშა-მოსამსახურეთა შორის.

მიწად-მოქმედების სამინისტროში.

კვირას, 31 ოქტომბერს, დილის 11 საათზე მიწათ-მოქმედების სამინისტროს შენობაში შესდგა ამავე სამინისტროს მუშა-მოსამსახურეთა პროფ. კავშ. საერთო კრება, კრების ღიღიურ წესრიგს შეადგენდა კანონი შრომის ხელშეკრულებისა გამოცემული მთავრობის მიერ ა. წ. 6 ოქტომბერს № 23 და მიღებული დამფუძნებელ კრების მიერ, რომელიც სახელმწიფო მოსამსახურეებზე არ ვრცელდება. კრებას დაესწრენ ცენტრალურ კავშირის გამგეობის წარმომადგენლები: ბ. ქელბაქიანი და ალ. დიდებულიძე, რომლებმაც გააკეთეს მოხსენება შრომის კანონის შესახებ. ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც. მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: მიწათ-მოქმედების სამინისტრ. მოსამსახურეთა საზოგადო მრავალ რიცხვოკრებამ, მოისმინა რა მოხსენებანი ტფილისის სახელმწიფო მოსამსახურეთა ცენტრალურ კავშირის გამგეობის წარმომადგენლებისა შრომის კანონის შესახებ და ორგანიზაციული მუშაობისა, გაითვალისწუნა ის გარემოება, რომ კანონი შრომის ხელშეკრულობისა სახელმწიფო მოსამსახურეებზე არ ვრცელდება და დაადგინა: დაევალოს მთავარ გამგეობას, მოიწვიოს ახლო მომავალში მთელი ტფილისის სახელმწიფო მოსამსახურეთა საერთო კრება, მოიწვიოს შრომის კომისარი, ფრაქციათა და სეკრეტარიატის წარმომადგენლები და ამ კრებაზე განიხილოს ეს საკითხი და იქნეს ყოველგვარი ზომებ მიღებული სახელმწიფო მოსამსახურეებზედაც გავრცელდეს შრომის კანონი. ჩვენ კი ჩვენი ენერგიით და შეგნებით ვიბრძოლებთ ჩვენი უფლებების მოსაპოვებლად.!

ა. უკდება.

—

კარანტინის მოსამსახურეთა მდგომარეობა.

ბათომის ნავთსადგურში არსებობს საზღვაო ცენტრალური საექიმო სათვალყურო სადგური, ე. წ. კარანტინი რომლის დანიშნულებაა ადევნოს თვალყური და მიიღოს ზომები, რათა ზღვით არ შემოიტანონ ან არ გაიტანონ გადამდები ავადმყოფობანი: შავი ჭირი, აზიის ხოლერა და სხვა და სხ., რისთვისაც კარანტინი ინახულებს ყველა მოსულ გემებს და თუ ისინი კეთილსაიმედო არ არიან, ან თუ ნახენ ჩამოთვლილ ავადმყოფობათა ნიშნებით ავად ვინმე, გემს, მასზედ მოტანილ საქონელს, მოგზაურთა ტანთსაცმელს და მათ ბარგს უკეთებენ დეზინფექციას, მოსამსახურე-მოგზაურთ კი აბანოს.

წელს კარანტინის მოსამსახურეებს გარდა თავისი პირდაპირ მოვალეობისა დააკისრეს ბათომში გაჩენილ ჯირკვლებიან ჟამის წინააღმდეგ ბრძოლა დღიდგან ეპიდემიის გაჩენისა.

ეს მუშაობა კარანტინის მოსამსახურეთა ჟამის წინააღმდეგ მით უფრო საძნელო იყო, რომ ამისთვის არ იყო შესაფერი პირობები. კარანტინის მოსამსახურეთ დილის 7 საათ. საღამ. 10—11 საათამდე უხდებოდა მუშაობა; ამასთანავე შტატის სიმცირის გამო არ იყო მორიგეობა. ამ დროს კარანტინში განუწყვეტლივ „საობსერვაციოდ" მოთავსებულთა რიცხვი უდრიდა 100—150 სულს. ისინი კარანტინს „იხდიდენ" 5 დღეს, მოსვლისას და წასვლისას ყველას უკეთდებოდა აბანო ტანისამოსის და შინაური ბარგის სრული დეზინფექციით. ამ გვარ მუშაობისათვის კარანტინის მოსამსახურეებს ჟამის წინააღმდეგ მებრძოლ საბჭოს ზოგიერთ წევრთაგან ჰქონდა სიტყვიერი დაპირება, ჟამის წინააღმდეგ გადადებულ სპეციალურ თანხიდგან გასამჯელოს მიცემისა, მაგრამ, როგორც სარწმუნო წყაროებიდგან იუწყებიან, კარანტინის მოსამსახურენი მოტყუვდნენ: იმის მაგიერ, რომ—დაპირებისამებრ-გაუთანასწორონ მათ ჯამაგირები ეპიდემიის პერსონალთან, ჟამის წინააღმდეგ მებრძოლ საბჭოს დაუდგენია ეთხოვოს ვისაც ჯერ არს, რომ კარანტინის მოსამსახურეებს მიეცეს სპეციალური თანხიდან იმდენი, რამდენსაც ღებულობენ ისინი თვიურ ჯამაგირს ე. ი. დაბალ მოსამსახურეთ 8000 მან., საშუალოს—10,000 მან. და ეჭიმებს—13000 მანეთამდე.

ჩვენ არ ვიცით თუ რა გარდაწყვეტილებას გამოიტანს ჯანმრთელობის დეპარტამენტი კარანტინის მიერ აღძრულ შუამდგომლობაზედ. ერთი კი ცხადია. ის დაემყარება ბათომის ჟამის წინააღმდეგ მებრძოლ საბჭოს რეზოლიუციას.

ჩვენ უსათუოდ უსამართლოდ მიგვაჩნია საბჭოს ამ გვარი დადგენილება იმ მოსამსახურეების შესახებ, რომლებმაც არ დაზოგეს არც შრომა, არც ინიციატივა და თავისი ენერგიული მუშაობით რეალური სარგებელი მოუტანეს სახელმწიფოს შავი ჭირის წინააღმდეგ ბრძოლაში ღებულობდეს 15—20,000 მან. და ულუფას, კარანტინის მოსამსახურეკი მარტოდ 8—9—10,000 მანეთს.

ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ კარანტინის მოსამსახურეთა შუამდგომლობა ეპიდემიაში მუშაობისათვის ჯამაგირებში სხვა ეპიდემიის პერსონალთან გათანასწორების შესახებ, თუ ჯერ განხილული კიდევ არ არის, დადებითად გადაიჭრება და მით საშუალება მიეცემა მოსამსახურეებს ჟმომატების მოლოდინში შექმნილ დეფიციტის დაფარვისა.

მუშა.

საგზაო ჯარები

— საბჭოთა რუსეთის შინაგან დამცველ ჯარს ეწოდა რესპუბლიკის შინაგან სამსახურის ჯარი. მას შეუერთდა დამსჯელი ჯარები, რკ. გზათა დამცველი ჯარები და სხვ.

თავდასხმა.

„იზვესტია" იუწყება: დღისით, მოსკოვის ცენტრალურ ნაწილში მოხდა შეიარაღებული თავდასხმა. წაიღეს 288 მილ. მანეთი. დაცემა გაგრძელდა 3—4 წუთს. ყაჩაღები მიიმალენ მოკლეს რამოდენიმე წითელი არმიელი.

აჯანყება მოსკოვში.

ლონდონის პრესა ბეჭდავს ცნობებს მოსკოვში მომხდარ აჯანყების შესახებ. ეს აჯანყება პურის ულუფის შემცირებას გამოუწვევია. გაზეთში იუწყებიან, რომ ხალხი არბევდა ფურნეებს, დუქნებს და განმანაწილებელ პუნქტებს, სადაც ხალხს შეტაკება მოუხდა პოლიციასთან. წითელ არმიელების დიდმა ნაწილმა მიუხედავათ ბრძანებისა ხალხისათვის სროლაზე უარი განაცხადა. ხმებია, თითქოს მოკლულთა შორის ორი კომისარიც იყოს. „ინვნიგის ტანრი" ამ ცნობას უმატებს იმასაც, რომ ხალხის მხრივ წითელ არმიელთა რაზმი მოქმედობდაო.

ბოლშევიკების დამარცხება.

სარწმუნო წყაროების მიხედვით ცნობები ბოლშევიკების დამარცხების შესახებ კიევის რაიონში სიმართლეს წარმოადგენს. აჯანყებულებს ხელთ უჭიათ სად. იაგოტინი (ეს სადგური (კიევის მახლობლად იმყოფება). აჯანყებულთა რამოდენიმე რაზმი კიევთან მისულა. აჯანყებულთა სხვა რაზმებს დაუკავებიათ ჟოზელიცი. (კიევის ჩრდილოეთით) მესამე ჯვუფი მოდის დნეპრით სამხრეთიდან (კანევით-კიევისაკენ). ამ გვარად აჯანყებულები კიევს გარს ერტყმიან, ყოველი მხრიდან.

ჰროვინციის ცხოვრება

თ ე ლ ა ვ ი.

უკანასკნელ დღეებში ხორბალი მეტად გაიაფდა. წმინდა ხორბალი ფუთი 2000—2500 მან, იყიდებოდა და ეხლა 1400—1600 მან. იყიდება. მოსალოდნელია ხორბლის კიდევ უფრო გაიაფება. გამომცხვარი პურიც გაიაფდა. გირვანქა 50 მ. მაგიერად ახლა 37-4 მ. იყიდება.

— საკოოპერაციო ცენტრმა ვალაცის ფირმისაგან შეიძინა 70 მილ. მანეთის იტალიიდან მიღებული მანუფაქტურა.

— ამავე კავშირის მიერ შეძენილ 100.000 ფუთ მარილის მიღებას ამ დღეებში მოელიან.

ა ხ ა ლ ც ი ხ ე.

ახალციხის მილიციამ დააპატიმრა 3 პირი რომლებსაც უნახეს ფული და საბუთები რაიც მათ ქემალის მომხრეობას ამტკიცებს. ქემალ ფაშის აგენტებს ფხიზლათ ადევნებს თვალ-ყურს ადმინისტრაცია.

ს უ რ ა მ ი.

სურამის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი გიმნაზიათ გადააკეთოს, და გიმნაზიის 5 კლასი გახსნას.

— სურამის ქალაქის თავად დ. სულიაშვილი აირჩიეს.

— ქალაქის გამგეობას თავის გამგებლობაში მიიღო სამხედრო სამინისტროს საავადმყოფო 80 საწოლით, კიდევ 20 საწოლი მიემატება.

ფოსტა-ტელეგრაფში

სიო ჩაუბარებელი დეპეშების 2 ნოემბერს,

აგარიდან—ბათიაშვილს; ოჩემჩირიდან—გერსამიას; ოჩემჩირიდან—გოგუას; სურამიდან—ცხაძეს; გაგრიდან—ნაცვალოვს; ბაბაშიდან—ქაჭარავას; სანაიდან—გუკასოვს; ქუთაისიდან ჭელიძეს; თელავიდან—ქობაშვილს; ქუთაისიდან—მელიქოვს; წესიდან—ჭიჭინაძეს; ოზურგეთიდან | პირწყალიშვილს; ყაზბეგიდან—გრინბერგს; ფოთიდან—მაყაშვილს; ფოთიდან—პოპანდოპულოს; ჭიათურიდან—ავგერენკოს;

3 ნოემბრისა.

ქარელიდან—ასლანოვს; ბათომიდან—მარტინერს; ფოთიდან—მაზლემიანს; ქუთაისიდან—დოლონაძეს; ახალქალაქიდან—აშხელიანს; ზესტაფონიდან—სურმავას; ჩოხატაურიდან—ჭიშუქს; მაჩხაანიდან—მანდაურს; სოხუმიდან-პანიაშვილს; ქუთაისიდან—ჭელიძეს; ბადიაურიდან—ილიჩევს; გელათიდან—პეტროსიანს ბათომიდან—რაგიმოვს; სოხუმიდან—ერაძეს; დედოფლის წყაროდან—დანცენკოს; სოხუმიდან—ბერმანს; ყაზბეგიდან—ხოსროევს; საგარეჯოდან—დიმიტრაშვილს;

მილიციაში

— 2 ნოემბერს ფირმა „კოსმოსის" წარმომადგენელმა არშაკ ნაზაროვის ძე მილოვმა განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში რომ ხსენებულ დაწესებულებიდან მოიპარეს ერთი ყუთი ქალის ფეხსაცმელები რომელიც ღირდა 200.000 მანეთი. სისხლის სამართლის მილიციის აგენტების მიღებულ ღონისძიებით გამოირკვა რომ ეს ქურდობა მოეწყოთ ქალაქთა კავშირის მუშების აღმასრულებელ კომიტეტის წევრებს: პროკოფი მიხეილი ძე ცარევსკის და მიხეილ დანიელის ძე ჩურბანოვის ქალაქთა კავშირის ეგზეკუტორის ბორის ვლადიმირიხ ძე ფიადაკოვის დახმარებით. ყველა ესენი დანაშაულობაში გამოტყდნენ.

— 30 ოქტომბერს მილიციამ შეიპყრო ემილიანე ნიკოლოზის ძე დობროვოლცევი. დობროვოლცევი ცუდათ იხსენიებდა საქართველოს მთავრობას და ცდილობდა მის ავტორიტეტის დაცემას. სისხლის სამართლის მილიციამ დასახელებული პირი დააპატიმრა და საქმის გამოსაძიებლად გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

— 1 ნოემბერს სისხლის სამართლის მილიციამ დაიჭირა და დააპატიმრა საინ. ქინერო დისტანციის ყოფილი მექანიკოსი ვასილი ანდრეეის ძე კოზლოვსკი, მას ბრალდება სახაზინო ნივთების სისტემატიური ქურდობა.

— 30 ოქტოვბერს სისხლ. სამ. მილიციამ შეიპყრო ტრაპეზუნდის გზის გაყვანის ყოფილი ტეხნიკოსი ალექსანდრე გიორგის ძე ქემაშვილი, მასთან ერთად დაიჭირეს მისი შვილი შალვა 12 წლის მამას ბრალდება ყალბი ორდერების გაკეთება მომარაგების სამინისტროს სახელით, მხოლოდ შვილს ამ „საქმის" გასაღება. დამნაშავენი პასუხის გებაში მიეცნენ.

— მილიციამ დაიჭირა და დააპატიმრა საქართველოს რესპუბლიკის აედრომის ჯარისკაცები: ი. ღამბაშიძე, ნ. ალექსეევი, გ. ქართველიშვილი, ვ. რავნებლერი, ზ. თათუნაშვილი და ნ. ცერცვაძე. მათ ბრალდებათ სახაზინო სხვა და სხვა საგნების გატაცება.

—

ნამდვილზე აწერია: „ვამტკიცებ, 19 ოქტ. 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი"

ხ. ავალიანი.

წესდება

დასავლეთ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო ბანკისა.

II. ბანკის ოპერაციები.

ვ) ყიდვა და გაყიდვა მესამე პირთა ანგარიშით ყოველგვარ სახელმწიფო პროცენტიან ქალაღდებისა, გირავნობის ფურცლების, აქციებისა და ობლიგაციებისა, რომელთა ტრიალი საქართველოს რესპუბლიკაში ნებადართულია.

ზ) ყიდვა და გაყიდვა საქონლისა მონდობილობით კერძო პირთა, დაწესებულებათა და სავაჭრო სახლთა ანგარიშით და წინდაწინვე განსაზღვრული საკომისიო სასყიდლის აღნიშვნით.

თ) ყიდვა და გაყიდვა თავის ანგ რიშით

და მონდობილობით ძვირფას ლითონთა ზოდებად და მოჭრილ ფულად, ოქროს მისაღებ ასიგნოვკების, ტრატების და გადასაპირებელ ვექსილებისა, როგორც შინაგან საქართველოს რესპუბლიკისა, ისე უცხო ქვეყნებისა.

ი) აქციებისა და გაცემა გადასაპირებელი ვექსილებისა, ტრატებისა, აკრედიტივებისა და ფულის გადასაგზავნი ბარათებისა ყველგან შინაგან რესპუბლიკისა და საზღვარგარეთ, თანახმად წესისა, რომელიც აღნიშნულია ამა პარაგრაფის „დ“ მუხლში.

კ) მიღება შესანახად წინდაწინვე განსაზღვრულ სასყიდლის აღებით ყოველგვარ პროცენტიან ქაღალდებისა და ღირებულებისა და აგრეთვე გაცემა ქირით უშიშარ ბინათა (საფულე შკაფ.) ანუ განყოფილებათა ამავე ბინებში, ყოველგვარ ღირებულებათა შესანახად.

ლ) მიღება ფულისა, როგორც დებული, უვადოთ, განსაზღვრულ ვადით და მიმდინარე ანგარიშზე იმ პირობით, რომ თითეულ ფულის მიღების შესახებ გაცემული ბილეთი უნდა შეიცავდეს თანხას არა ნაკლებ ასი მანეთისა.

მ) ყიდვა და გაყიდვა საკუთარი ანგარიშით სახელმწიფო პროცენტიან ქაღალდებისა, აქციებისა, ობლიგაციებისა, რომლებიც მთავრობის მიერ უზრუნველყოფილნი უნდა იყვენ და რომლებზედაც შეიძლება დაიხარჯოს არა უმეტეს ძირითადი თანხის ნახევრისა.

ნ) ყიდვა და გაყიდვა თავის ანგარიშით ობლიგაციებისა და გირავნობისა, რომლებიც საადგილ-მამულო ბანკებისა, ერობებისა, ქალაქებისა და საქაქიონერო საზოგადოების მიერ გამოცემული არიან და აგრეთვე მთავრობისაგან უგარანტიო აქციებისა და პაებისა, მხოლოდ გამგეობის ერთხმივ გადაწყვეტილებით და საბჭოს დადასტურებით და იმ პირობით, რომ ამ საქმეში გაღებული თანხა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი თანხის ერთ მეხუთედ ნაწილსა.

შენიშვნა: ბანკს არ შეუძლიან იყიდოს თავის ანგარიშით ისეთი პაები, აქციები, ობლიგაციები და გირავნობის ფურცლები, რომელთათვის ჯერ არავითარი ფული არ არის შეტანილი და რომელნიც ამიტომ ბირჟაზე არ ტრიალებენ.

ო) გამოცხადება ხელის მოწერისა, საკომისიოდ, საერობო, საქალაქო და საზოგადოებრივ სესხზედა და აგრეთვე იმ აქციებსა, ობლიგაციებსა, პაებსა და გირავნობის ფურცლებზე, რომელთა გამოცემა ნებადართულია საქართველოში იმ პირობით, რომ არავითარი ხელის მოწერა უცხოეთის ქალაქზე არ უნდა იყოს გამოცხადებული ფინანსთა მინისტრის ნებადაურთველად.

შენიშვნა: ბანკს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიან თავს იდვას ხელის მოწერის წარმატება.

პ) დაგირავება საკუთარი პროცენტიანი ქაღალდებისა სხვა საკრედიტო დაწესებულებებში და გადაგირავება იქვე იმ პროცენტიან ქაღალდებისა და საქონლისა, რომელიც თვით ბანკს მიღებია გირაოდ კერძო კაცთა და დაწესებულებათაგან ამ უკანასკნელთა თანხმობით; გადაგირავება საქონლისა სრულდება გირავნობის ქაღალდზე გადაცემითი წარწერით.

ჟ) გაცემა სესხისა სოლო ვექსილის ქვეშ (ე. ი. ვექსილის ქვეშ, რომელსაც ხელს აწერს მარტო ვექსილის გამცემი), რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სოფლის მამულის გირაოთი, თანახმად იმ განსაკუთრებულ წესებისა, რომელიც განმტკიცებულია 11 მაისის 1898 წლის კანონით. (დამატება 9 მუხლისა, განყოფილება X საკრედიტო წესდებისა, გამ. 1903 წლ.)

(გაგრძელება იქნება)

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

მოწმობა № 879 სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების შესახებ მიღებული ოზურგეთის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ნიკოლოზ ოტიას ძე ურუშაძის სახელზე, დაკარგულია, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3525 3—2

დაიკარგა სამხედრო სამსახურის ნუსხა აკაკი სილევანის ძე დობარჯგვინაძის სახელზე, მიღებული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3537 3—2

დაიკარგა მორიგ ჯარში გაწვევის უწყება № 47 არამ კარაპეტის ძე გევონდიანცის სახელზე, მიღებული 4 სამილიციო უბნიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3531 3—2

დაიკარგა პასპორტი № 261 ოვანეს ოსიპოვის სახელზე, მიღებული შუშის სამაზრო მთავრობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3523 3—2

დაიკარგა პასპორტი № 319 სონია აზურფიგაროს ასული ოგანეზოვის და ცატურ ოვანესის ძე ოგანესოვის სახელზე, მიღებული შუშის სამაზრო მილიციიდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3523 3—2

დაიკარგა პასპორტი № 198 ფაილაკ მარტიროსის ძე აკოფიანცის სახელზე, მიღებული სომხების ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3523 3—2

დაიკარგა ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების წიგნაკი № 4376 აკაკი ალექსის ძე ჭანტურიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3529 3—2

დაიკარგა პასპორტი № 3278 ლიუმოვ ნიკოლოზის ასული პოპოვის სახელზე, მიღებული ბათუმის მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3532 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი № 1942 ეკატერინე მიხეილის ასული ბათხაძის სახელზე, მიღებული ტფ. თვითმმართველობიდან 1914 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3543 3—2

დაიკარგა ექვსი კლასის ატესტატი და შვიდი კლასის მოწმობა მიხეილ ვლადიმერის ძე ტატიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. რეალურ სასწავლებიდან. გსუქმებულად ჩაითვალოს. 3500 3—3

დაიკარგა ატესტატი ტფ. 1 რეალურ სასწავლებლის დამთავრების სერგო მიკირტიჩის ძე კურეგოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3498 3—3

დაიკარგა მორიგ ჯარში გაწვევის მოწმობა № 30 პავლე გიორგის ძე კანდელაკის სახელზე, მიღებული მე-9 კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3503 3—3

ვასილი ტიტის ძე ფეფელოვი აუქმებს მინდობილობას მიცემულს მის მიერ ზინაიდა გიორგის ასული შვლიარსკის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ნოტარიუსი სტრახოვის მიერ რეესტრით № 5278. 3496 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 21 ვ. ა. პრიხოტოკოს სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3486 3—3

დაიკარგა პასპორტი და სამხედრო ნუსხა, მიღებული სენაკის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან დავით სტეფანეს ძე ჭანტურიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3488 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 331 მიხეილ სიმონის ძე ანტოშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3492 3—3

დაიკარგა პასპორტი ჯამალუდინ ასან გუსეინ ოღლის სახელზე, მიღებული გუმუქის (ალესტანი) უბნის ბოქაულისაგან 1914 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3493 3—3

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში მარიამ ალექსანდრეს ასულმა კარპუხოვისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი ალექსანდრე კოსმას ძე კარპუხოვი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1907 წ. უკვალოდ დაიკარგა 1915 წ. ყველა, ვინც იცის ალექსანდრე კოსმის ძე კარპუხოვის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 3495 3—3

დაიკარგა ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 145 გიორგი დიმიტრის ძე მჭედლიძის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3518 3—2

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა კონსტანტინე ვასილის ძე ჭოჭოსაძის სახელზე, მიღებული სინოდალურ კონტორიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3520 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი მიკირტიჩ ივანეს ძე მარუთოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3511 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა ვალერიან ბოკუჩავას სახელზე, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3514 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა ვალერიან ტოგონიძის სახელზე, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3515 3—2

დაიკარგა პასპორტი კონსტანტინე ალექსის ძე ოქრომჭედლოვის სახელზე, მიღებული ახალქალაქის (ვორის მაზრა) ერობის თემიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3506 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი სერგო გრიგორის ძე ოგანეზოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3507 3—2

დაიკარგა პასპორტი № 19109 რუბენ მარკარის ძე მოტესიონ-ხაჩატუროვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3458 3—3

დაიკარგა პასპორტი გიორგი ლევანის ძე სარაჯიშვილის სახელზე, მიღებული კავკავში 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3439 3—3

დაიკარგა კვიტანცია № 503 მოსკოვის შრომის არტელის მიერ გაცემული მარიამ გრიგოლის ასულის რედროვას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3479 3—3

დაიკარგა ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების საწევრო წიგნაკი № 10211 ალექსანდრე მიხეილის ძე თარხანიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3481 3—3

დაიკარგა პასპორტი № 3428 ზელიკ ზალმანის ძე სორინის სახელზე, მიღებული რუსეთის საკონსულოდან ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3494 3—3

დაიკარგა პასპორტი № 3870 მარიამ გრიგორის ასული ლიზუნოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3526 3—2

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტში შესასვლელი ბარათი № 825 და პირადობის მოწმობა № 744 სტ. იასონ კვარაცხელია სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3502 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული მარტვილის თემიდან და მეტრიკა ერასტი მაქსიმეს ძე ხაჟომიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3505 3—3

დაიკარგა მოწმობა № 15, მიცემული სახელმწიფო ქალალ. დამზად. ექსპედიციიდან და მოწმობა სამხედრო ბეგრის მიცემული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ნოე რომანოზის ძე ქინქლაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3546 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 165 ოსეფ სარქისას ძე ჯავრიშიანცის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3538 3—1

დაიკარგა სამხედრო ნუსხა კოსტა გაბრიელის ძე ბერიძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3548 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ივანე ალექსის ძე ჩიკულოვის სახელზე, მიღებული რუსთა ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 25450 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 2023 გრიგოლ გრიგოლის ძე კარაკაშიშვილის სახელზე მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3552 3—1

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲐᲯᲝ ᲐᲛᲐᲡᲚᲘᲡᲐ

ამით აცხადებს, რომ კვირას 7 ნოემბერს 1920 წ. 12 საათზე რიყის მოედანზე (სამანის მოედანი) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა დაწუნებულ 8 ცხენის გასაყიდათ. 3553 1—1

ქ. ტფილისის პირველი უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის ონისიმე ადამის ძე ჭიჭინაძისა, რათა წარმოადგინონ უფლებანი, ქონებაზედ გარდაცვალებულისა, ვადაზედ, რომელიც აღნიშნულია სამ. კან. მე-10 ტომის 1 ნაწილის 1241 (მუხლში გამოცემული 1871 წელს). 3246 1—1

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲖᲘᲜᲝ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ,

რომ ქვემოდ აღნიშნული ნივთი და უდოკუმენტო ტვირთი საჯაროდ გაიყიდება ცენტრალ საწყობში ამა წლის 17 ნოემბერს დილის ათ საათზე და თუ დანიშნულ ვადაზე არ გაიყიდა ხელმეორედ ვაჭრობა მოხდება 18 ნოემბერს.

ხარაგოულიდან—ბორჯომში № 16365 რიგ. № 317—10 გ., ბაკურიანიდან ბორჯომში № 8471 რიგ. № 316—10 გ., ქუთაისიდან—ფოთში № 45638 რიგ. № 314—3 გ., ქუთაისიდან—ფოთში № 46103 რიგ. № 313—6 ფ. 30 გ., ტფილისიდან—ბათუმში № 93 რიგ. № 309—5 ფ., ტფილისიდან—ბათუმში № 8060/61 რიგ. № 308-25 გირ., ბაკურიანიდან—ტფილისში № 4595 რიგ. № 318 ხის ნახშირი 1 ფ. 10 გ., ფოთიდან—ბათუმში № 88550 რიგ. № 307 ზანდუკი 35 გ.

984 3—1

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲖᲘᲜᲝ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ,

რომ ქვემოთ აღნიშნული გაუტანელი ტვირთი საჯაროდ გაიყიდება ცენტრალ საწყობში ამა წლის 15 ნოემბერს დილის ათ საათზე და თუ დანიშნულ ვადაზე არ გაიყიდა, ხელ მეორედ ვაჭრობა მოხდება 16 ნოემბერს.

ტფილისიდან—ლანჩხუთში № 604445 რიგ. № 306 გამგზავნი ქალაქთა კავშირი, მიმღები იმნაძე ფანჯრის მინა 4 ფ., ტფილისიდან—სანაინში № 615352 რიგ. № 319 ცარიელი კასრი გამგზავნი ფირალოვი მიმღები იგივე 12 ფ.

984 3—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.